



საქართველოს სტატისტიკის  
ეროვნული სამსახური

# მომხმარებელთა კმაყოფილება გენდერული სტატისტიკით

გამოკვლევის  
ანგარიში



## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| შესავალი  | 3  |
| <b>ნაწილი 1.</b>  |    |
| რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგები   | 5  |
| <b>ნაწილი 2.</b>  |    |
| თვისებრივი გამოკვლევა   | 15 |
| 2.1. მომხმარებელთა კმაყოფილება გენდერული<br>სტატისტიკის პორტალით                            | 18 |
| 2.1. მომხმარებელთა კმაყოფილება პუბლიკაციით<br>„ქალი და კაცი საქართველოში“                   | 27 |
| 2.3. მომხმარებელთა კმაყოფილება ინფოგრაფიკებითა<br>და გენდერული სტატისტიკის სხვა პროდუქტებით | 31 |
| <b>ნაწილი 3.</b>  |    |
| შეჯამება და რეკომენდაციები  | 35 |
| დანართი 1   | 39 |
| დანართი 2   | 59 |
| დანართი 3   | 61 |



## შესავალი

გენდერული სტატისტიკის განვითარება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გასული წლების განმავლობაში საქსტატმა მომხმარებლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისთვის (პოლიტიკის შემქმნელები, სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები, ფართო საზოგადოება) მონაცემების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების გასაუმჯობესებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით, გენდერული სტატისტიკის არაერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი შეიმუშავა. 2018 წელს ქვეყნის გენდერულ შეფასებას 2021 წელს საქსტატის პირველი გენდერული სტატისტიკის 2021-2023 სტრატეგიის შემუშავება მოჰყვა. საქსტატი აქტიურად მონაწილეობს მონაცემთა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერებაში გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

გენდერული სტატისტიკის პორტალი და ყოველწლიური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“ გენდერული სტატისტიკის ის ორი ძირითადი პროდუქტია, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიმუშავდა და რომელსაც საქსტატი პერიოდულად აახლებს. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით, საქსტატმა, ასევე, გაინგარიშა გენდერული სახელფასო სხვაობა და მისი ძირითადი ინდიკატორების ყოველწლიური გავრცელება დაიწყო. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქსტატს ეროვნული გამოკვლევების ჩატარებაშიც ეხმარება, როგორცაა, მაგალითად, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა და საქართველოში პირველად ჩატარებული - დროის გამოყენების გამოკვლევა.

უკეთ გასაგებად, თუ როგორ აკმაყოფილებს გენდერული სტატისტიკის პროდუქტები მომხმარებელთა საჭიროებებს, 2021 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევის მეორე ტალღა ჩაატარა. გამოკვლევამ, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, მომხმარებელთა განწყობები და აღქმები შეისწავლა მონაცემთა წარმოებისა და გავრცელების საკითხებზე და საქსტატის მიერ მოწოდებულ სერვისებზე. რაოდენობრივი გამოკვლევა საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელდა, გაეროსა<sup>1</sup> და მსოფლიო ბანკის<sup>2</sup> მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიების შესაბამისად, და მოიცვა გენდერული სტატისტი-

<sup>1</sup> Recommendations for Promoting, Measuring and Communicating the Value of Official Statistics, UN, New York and Geneva, 2018

<sup>2</sup> User Satisfaction Survey on the Quality and Use of Official Statistics for Informed Policy- and Decision-Making, WB, 2010, <https://www.worldbank.org/en/data/statistical-capacity-building/statistics-for-results-facility-catalytic-fund#5>



კის შესახებ მოდული, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით შემუშავდა (კითხვარი იხილეთ დანართი 1). გამოკვლევა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა და ყველა ინსტიტუციური სექტორი (ბიზნეს სექტორი, სახელმწიფო სექტორი, ადგილობრივი მმართველობა/თვითმმართველობა, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებები, კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაციები, მედია, საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი და ფიზიკური პირები) მოიცავს. რაოდენობრივ გამოკითხვაში 15 წლის და უფროსი ასაკის 600-მდე რესპონდენტი მონაწილეობდა, ხოლო თვისებრივ გამოკვლევაში - ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები იმ ჯგუფებთან, რომლებიც რეგულარულად იყენებენ გენდერულ სტატისტიკას. გამოკითხვის მიზანი საქართველოში გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა სპეციფიკური საჭიროებების უკეთ გაგება და შესწავლა გახლდათ (დეტალური მეთოდოლოგიისთვის იხილეთ დანართი 2 და დანართი 3).

ანგარიშში წარმოდგენილია რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკვლევის შედეგები, რომლებიც გენდერული სტატისტიკის პროდუქტებს უკავშირდება. ანგარიშის პირველი ნაწილი გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებული რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგებს მოიცავს, მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია თვისებრივი გამოკვლევის შედეგები და გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა დეტალური შეხედულებები საქსტატის მიერ შემუშავებული გენდერული სტატისტიკის ძირითად პროდუქტებზე, ხოლო ძირითადი დასკვნები და მომხმარებელთა რეკომენდაციები ანგარიშის შემაჯამებელ ნაწილშია მოცემული.


ნაწილი 1.

# რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგები




რაოდენობრივი გამოკვლევა საქსტატმა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარა და 15 წლის და უფროსი ასაკის 591 რესპონდენტი მოიცვა. გამოკითხულთა 57 პროცენტი იყვნენ ქალები.

### მომხმარებელთა განაწილება სქესის მიხედვით




რესპონდენტთა ყველაზე დიდ ასაკობრივ ჯგუფს 25-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი წარმოადგენდა, რომლის წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობის 43 პროცენტია, შემდეგ მოდის მომხმარებლების 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი (23 პროცენტი) და მომხმარებლების 45-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი (20 პროცენტი).

### მომხმარებელთა განაწილება ასაკის მიხედვით



როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, მომხმარებელთა 15-34 და 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ქალები ჭარბობენ, ხოლო 35-44 და 65 წლისა და უფროსი ასაკის მომხმარებლების უმეტესობას კაცები წარმოადგენენ:

### მომხმარებელთა განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით






## გამოკვლევის ძირითადი შედეგები:

გამოკვლევის ფარგლებში დეტალური ინფორმაცია შეგროვდა გენდერული სტატისტიკის თაობაზე მომხმარებლების შეხედულებების შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია იმის დასადგენად, თუ რამდენად ხშირად და რა მიზნებისთვის გამოიყენება გენდერული სტატისტიკა, გენდერული სტატისტიკის რომელი მონაცემები გამოიყენება უფრო ხშირად და როგორ აფასებენ მომხმარებლები ხელმისაწვდომი გენდერული სტატისტიკის ხარისხს.

## ზოგადი დანიშნულება

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ირკვევა, მომხმარებელთა თითქმის ერთნაირი რაოდენობა აცხადებდა, რომ გენდერული სტატისტიკა გამოიყენა კვლევითი (60 პროცენტი) და ზოგადი ინფორმაციის მიღების (59 პროცენტი) მიზნით, ხოლო მომხმარებელთა 40 პროცენტმა გენდერული სტატისტიკის მონაცემებით ბაზრის ანალიზისთვის ისარგებლა. სხვა შემთხვევებში გენდერულ სტატისტიკას იყენებენ პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა ან/და მონიტორინგისთვის (26%), საგანმანათლებლო პროექტებისთვის (25%), მედიაში გამოყენებისა (15%) და ადვოკატირების (15%) მიზნით. ფინანსური დაგეგმვა და გენდერული სტატისტიკის საფუძველზე კანონპროექტების მომზადება ყველაზე ნაკლებად დასახელდა.

### რა მიზნით იყენებთ გენდერულ სტატისტიკას?






## გამოყენების სიხშირე


მომხმარებელთა უმრავლესობა გენდერული სტატისტიკით კვარტალში ან წელიწადში რამდენჯერმე სარგებლობს, ამასთან გამოყენების სიხშირე არ იცვლება გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა სფეროს მიხედვით.

გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით სარგებლობის სიხშირის მიხედვით გამოკვლევის შედეგების გაანალიზებისას ირკვევა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა გენდერული სტატისტიკის პროდუქტებს წელიწადში რამდენჯერმე იყენებს.

### რამდენად ხშირად სარგებლობთ საქსტატის მიერ შეთავაზებული გენდერული სტატისტიკის შემდეგი პროდუქტებით?




### რა სიხშირით სარგებლობდით გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა მონაცემით?



## კმაყოფილების დონე

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია საქსტატის გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით, როგორცაა გენდერული სტატისტიკის პორტალი, სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“ და ინფოგრაფიკები.


### რაოდენად კმაყოფილი ხართ საქსტატის მიერ შეთავაზებული გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით?



- ძალიან კმაყოფილი
- საშუალოზე მეტად კმაყოფილი
- საშუალოდ კმაყოფილი
- უკმაყოფილო
- ძალიან უკმაყოფილო


როგორც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, გენდერული სტატისტიკის თითქმის ყველა სფეროთია კმაყოფილი, თუმცა, შედარებით დაბალი შეფასება სამართალდარღვევების, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკამ მიიღო.

### რამდენად კმაყოფილი ხართ გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა მონაცემით?




რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გენდერული სტატისტიკის მომხმარებლები ძალიან კმაყოფილები არიან სტატისტიკური პუბლიკაციით „ქალი და კაცი საქართველოში“. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი გვიჩვენებს, რომ პუბლიკაცია მისი დროულობით, სიცხადითა და შემოთავაზებული თემების მრავალფეროვნებით ფასდება.

**საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით საქსტატის მიერ გამოცემულ ყოველწლიურ პუბლიკაციას „ქალი და კაცი საქართველოში“ შემდეგი მახასიათებლების მიხედვით?**



რესპონდენტებმა გენდერული სტატისტიკის პორტალით მაღალი კმაყოფილება დააფიქსირეს. როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, პორტალის ღირებული მახასიათებლებია, ძირითადად, დროულობა (მოვლენის მოხდენასა და მასზე მონაცემების ხელმისაწვდომობას შორის არსებული დროის ხანგრძლივობა) და ინდიკატორების დეტალიზაციის დონე (პორტალზე რამდენად არის წარმოდგენილი მონაცემები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით, როგორცაა ასაკი, ეთნიკური უმცირესობები, შშმ პირები და ა.შ.).

### საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით გენდერული სტატისტიკის პორტალს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით?



ნაწილი 2.

# თვისებრივი გამოკვლევა





თვისებრივი გამოკვლევა ხუთ ფოკუს ჯგუფს და ათ სიღრმისეულ ინტერვიუს მოიცავს გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფთან. ფოკუს ჯგუფებში სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის, ასევე, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თითოეული ჯგუფი 5-10 მონაწილისგან შედგებოდა, ხოლო სიღრმისეულ ინტერვიუებზე, ჯამში 10 რესპონდენტი გამოიკითხა. გამოკვლევის დეტალური მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შეგიძლიათ, დანართში 2 და დანართში 3 იხილოთ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები თავიანთ საქმიანობაში საქსტატის მონაცემების მნიშვნელობას გამოკვეთდნენ. მათ ერთ ნაწილს, საქმიანობიდან გამომდინარე, თითქმის ყოველდღე უწევს გენდერული სტატისტიკური მონაცემების გამოყენება, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და გენდერის ექსპერტებს, რომლებიც უშუალოდ გენდერულ საკითხებზე მუშაობენ. მეორე ნაწილს კი გენდერული სტატისტიკა, ძირითადად, პროექტების დაგეგმვის ეტაპზე და ქვეყანაში გენდერული ნიშნით არსებული მდგომარეობის განსახილველად სჭირდება.

მონაწილეები გენდერული სტატისტიკის მონაცემებს სხვადასხვა თემის შესახებ ეცნობიან: განათლება, დემოგრაფია, ჯანდაცვა, დასაქმება, სოფლის მეურნეობა, სამართალდარღვევები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები), რომლებიც იურიდიული მიმართულებით მუშაობენ, საქსტატის მონაცემებს შედარებით ნაკლებად იყენებენ და პრიორიტეტს სახელმწიფო უწყებებიდან მონაცემების გამოთხოვას ანიჭებენ. ამის მიზეზად, მონაცემების პირველწყაროდან მიღებას ასახელებენ, რადგან ეს ინფორმაცია შედარებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე საქსტატის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.



ძირითადად, ვიყენებ სამართალდარღვევათა სტატისტიკას, ასევე დისკრიმინაციულ დანაშაულთან დაკავშირებით სტატისტიკას, დაზარალებულის რიცხოვნობას და ა.შ... მირჩევნია, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია მივიღო პროკურატურიდან და სასამართლოდან და ვიყო დარწმუნებული, ვიდრე ავიღო საიტიდან... არ არის სრულყოფილი ინფორმაცია.

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი**



”

ფაქტობრივად, ჩემი ყოველდღიური ხელმისაწვდომობა არის ამ საიტზე უმნიშვნელოვანესი... ჩვენ გვაქვს სტრატეგია მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების, სადაც ერთ-ერთი კომპონენტი გვაქვს ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა და წარმოდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს თქვენი მონაცემები, როგორც წლიური შეფასებები, ასევე, საბოლოო ზეგავლენების შეფასებები... საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში აქტიურად ვიყენებთ თქვენს საიტს და თქვენს მონაცემებს - ასე ვთქვათ, დიდი დასაყრდენია.

**სამინისტროს წარმომადგენელი**

თვისებრივი გამოკვლევებისთვის საინტერესო იყო, ასევე, თუ რამდენად სანდოდ მიიჩნევდნენ რესპონდენტები საქსტატის ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებს. დისკუსიებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტები ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებს სანდოდ მიიჩნევენ. თუმცა, საგულისხმოა, რომ მედიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში ერთ-ერთმა რესპონდენტმა ყურადღება გამოკვლევის მეთოდოლოგიაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, მაგალითად, საშუალო ხელფასის, საარსებო მინიმუმის გამოთვლის მექანიზმი და ამის გამო ეჭვქვეშ აყენებს მონაცემთა სანდოობას.


მონაცემთა სანდოობის გარდა, გამოკვლევას ისიც აინტერესებდა, გამოუთხოვიათ თუ არა რესპონდენტებს გენდერული სტატისტიკური მონაცემები საქსტატიდან. ინტერვიუებისა და დისკუსიების მონაწილე რესპონდენტთა ნაწილმა დაადასტურა საქსტატიდან გენდერული მონაცემების გამოთხოვა. მათი შეფასებით, საქსტატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, როგორც წესი, ამომწურავია. რესპონდენტები, ასევე, ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებენ საქსტატის მიერ განეულ სერვისს. მათი აზრით, საქსტატი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სერვისი. ისინი აღნიშნავენ, რომ პროცესი საკმაოდ ოპერატიულად ხორცილდება და საჭიროების შემთხვევაში საქსტატის თანამშრომლებისგან დახმარებასაც იღებენ.

”

ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით ... წლის ბოლოს ვაჯამებთ, რომელი უწყება იყო უფრო ღია და რამდენიმე დღის წინ ვსაუბრობდით ზუსტად, რომ საქსტატი იყო, რომელიც ათ დღიან ვადაზე ადრე გვაძლევდა ინფორმაციას. ერთხელ მახსოვს, გაცემული დავრჩი, მეორე დღეს მივიღე ინფორმაცია და მართლა ძალიან გამიკვირდა... მერე, ინფორმაციების დაზუსტება დამჭირდა, ზარი მოაყოლეს, გადამამისამართეს და მოკლედ, მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მომაწოდეს.

**მედიის წარმომადგენელი**

## 2.1. მომხმარებელთა კმაყოფილება გენდერული სტატისტიკის პორტალით



რესპონდენტთა ნაწილი გენდერულ სტატისტიკას საქსტატის მთავარი ვებგვერდიდან ეცნობა და არა უშუალოდ [საქსტატის გენდერული სტატისტიკის პორტალიდან](#). მიუხედავად იმისა, რომ ამ მომხმარებლებს ხშირად უნევთ მონაცემების დამუშავება გენდერული ნიშნით, გენდერული სტატისტიკის პორტალის არსებობის შესახებ მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ისინი კი, ვინც გენდერული სტატისტიკის პორტალის შესახებ იცოდა, დადებითად აფასებენ პორტალს და მიესალმებიან გენდერული სტატისტიკის მონაცემების ცალკე პორტალზე თავმოყრას, რადგან თვლიან, რომ ეს მონაცემთა მოძიებას აიოლებს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი დადებითად აფასებს პორტალის ვიზუალურ მხარესაც. მათი განმარტებით, თემების მიხედვით დალაგებული ინფორმაცია და, ზოგადად, პორტალის სტრუქტურა მარტივად აღსაქმელს ხდის მასზე განთავსებულ ინფორმაციას. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები პორტალზე ნავიგაციასაც იწონებენ და თვლიან, რომ იგი ადვილად ათვისებადია. აღსანიშნავია, რომ მედიისა და სამინისტროს წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფებში, საქსტატის გენდერული სტატისტიკის პორტალის შეფასებისას, ზოგიერთმა რესპონდენტმა ერთმანეთს შეადარა გენდერული სტატისტიკის პორტალი და საქსტატის მთავარი ვებგვერდი და აღნიშნა, რომ პორტალი ვიზუალურად უკეთესი, აღსაქმელად და მონაცემების მიგნების თვალსაზრისით კი უფრო მარტივია, ვიდრე მთავარი ვებგვერდი. საქსტატის მთავარი ვებგვერდი და პორტალი ინტერვიუების დროს სხვა რესპონდენტებმაც შეადარეს და ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მსგავსად, მათაც აღნიშნეს, რომ პორტალზე ნავიგაცია და სასურველი

ინფორმაციის მიგნება უფრო იოლია, ვიდრე მთავარ გვერდზე. უფრო დადებითად შეაფასეს, ასევე, პორტალის ვიზუალური მხარეც და ზოგადი აღქმადობაც. სიღრმისეული ინტერვიუს ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი ყურადღება გენდერული სტატისტიკის პორტალის პიქტოგრამის (ფანჯრის/ველის) არათვალსაჩინო ადგილას განთავსებაზე გაამახვილა და განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ის საქსტატის ვებგვერდის ხშირი მომხმარებელია, გენდერული სტატისტიკის პორტალის ცალკე ველი აქამდე არ შეუმჩნევია და მიაჩნია, რომ ის უფრო თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს.

”

საქსტატის პორტალი [მთავარი ვებგვერდი] იქიდან გამომდინარე, რომ უფრო მეტ მონაცემს შეიცავს, უფრო მეტად ჩახლართული არის და მეტ დროს მოითხოვს ხოლმე კონკრეტულ მონაცემზე მიგნება, ჩემი აზრით და აქ [გენდერული სტატისტიკის პორტალზე] შედარებით ცოტა მონაცემი რადგან არის, როგორც გამოიყურება, ეგეც ძალიან აღქმადია, უფრო მიმარტივდება მანდ საქმე, ვიდრე მთავარ გვერდზე.

**კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი**

”

...ვთქვათ, რომ მენახა გენდერული სტატისტიკა შევდიოდი ხოლმე პუბლიკაციებში, შემდეგ წლიურში, შემდეგ ვეძებდი „ქალს და კაცს“ და აქ ვპოულობდი ინფორმაციას, რომელიც დავუშვავთ მე მჭირდებოდა და მგონია, რომ ახლა ეს ბევრად კარგი და ისეთია, მარტივად აღსაქმელი, ვიდრე იყო, თან ლამაზიც არის.

**მედიის წარმომადგენელი**

გენდერული სტატისტიკის პორტალის შეფასებისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები ინტერაქციულ გრაფიკებს, მათ ვიზუალურ მხარესა და გრაფიკებზე მონაცემთა აღქმადობას დადებითად აფასებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, გრაფიკები იმდენად ინფორმაციულია, რომ დამატებითი მონაცემების/ბაზების მოძიება აღარ სჭირდება. გარდა ამისა, მედიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში ერთ-ერთმა რესპონდენტმა პოზიტიურად შეაფასა გრაფიკების ჩამოტვირთვის ფუნქციის არსებობაც და აღნიშნა, რომ გრაფიკების სხვადასხვა ფორმატში ჩამოტვირთვის ფუნქცია მომხმარებლისთვის

მოსახერხებელია, რადგან მარტივად შეუძლიათ გრაფიკების ანგარიშებში/სტატიებში გადატანა. თუმცა, იმავე ჯგუფის სხვა მონაწილის თქმით, გადმონერულ გრაფიკებში გარკვეული ინფორმაცია იკარგება და საიტზე არსებული გრაფიკების ანალოგიური არ არის.

”

რამდენიმე ფორმატში შესაძლებელია გადმოწერა, მათ შორის ფიდეფ (pdf) და ექსელშიც, რაც ძალიან კარგია, მაგრამ შეუძლებელია ამ მონაცემების გადმოტანა უცვლელი სახით... როდესაც მაგალითად, ჩვენ ვიწერთ ამ მონაცემებს სურათის სახით, როგორც აქ არის წარმოდგენილი, როდესაც ხსნი ამ გრაფიკს თვითონ ღერძზე არ არის დატანილი მონაცემები. ...იკარგება მნიშვნელოვანი მონაცემები, ამიტომ mbd-კოდით თუ იქნება შესაძლებელი ამ მონაცემების გადმოწერა, იქნება ძაან კარგი.

**მადის წარმომადგენელი**

”

გრაფიკები კარგად აღქმადია ... დეტალურად აჩვენებს ინფორმაციას, ეს ძაან კარგია, რა და ამიტომ, სიმართლე ვთქვა, ექსელში ძალიან ხშირად არც ჩავიხედავ, თუ რაღაც რეპორტს არ ვამზადებ. ხშირად ეს გრაფიკებიდან აღებული ინფორმაცია აბსოლუტურად საკმარისი არის ხოლმე.

**განდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენელი**

გარდა ამისა, ერთ-ერთი კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სასურველია, გრაფიკების ქვეშ და ექსელის ფორმატით მოცემულ ცხრილებში მიეთითოს ინფორმაცია, თუ საქსტატის რომელ გამოკვლევაზე დაყრდნობით არის გამოტანილი/ნაჩვენები ესა თუ ის მონაცემი.

”

აი, თვითონ ეს გენდერის პორტალზე, როცა მონაცემი გამოგვაქვს, ხო?! იქ რო იყოს მითითებული, თვითონ გრაფიკის ქვეშ ... კარგი იქნებოდა და მეორე, მაგალითად, ამის წინ მქონდა ასეთი შემთხვევა, რაღაცა ჩამოვტვირთე ექსელის ფორმა და იქ არ იყო მითითებული წყარო და მერე დამჭირდა დამატებით ძებნა, ანუ ესეთი რაღაცები რომ იყოს, უფრო გამარტივებული და მარტივად მოსაძებნი, კარგი იქნებოდა.

**კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი**



აღსანიშნავია, რომ სამინისტროების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში ყურადღება მონაცემების ინტერპრეტაციაზე გამახვილდა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თუკი პორტალზე განთავსებულ გრაფიკებს თან დაერთვება ტერმინთა განმარტება და მონაცემთა ძალიან მოკლე ტექსტობრივი აღწერა/ინტერპრეტაცია, თუ როდის შეიმჩნევა დროში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, უფრო საინტერესოს და გამოსაყენებლად მოსახერხებელს გახდის პორტალს. კვლევითი ორგანიზაციების/აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში და, ასევე, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ სასურველია, თუკი პორტალზე, საქსტატის მთავარი გვერდის მსგავსად, საძიებო სისტემა განთავსდებოდა. მედიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში პორტალის განხილვის დროს, დიდი ყურადღება გამახვილდა გენდერული სტატისტიკის მონაცემების უფრო ფართოდ გამოყენებაზე. რესპონდენტებმა პორტალის ნაკლებ ცნობადობაზე გააკეთეს აქცენტი და აღნიშნეს, რომ პორტალის შესახებ ნაკლებად იციან ჟურნალისტებმა და მით უფრო, რიგითმა მოქალაქეებმა, რის გამოც აღნიშნული პორტალიდან იშვიათად იყენებენ გენდერული სტატისტიკის მონაცემებს. მედიის წარმომადგენლები აუცილებლად მიიჩნევენ გენდერული სტატისტიკის პორტალის პოპულარიზაციას საზოგადოებაში და აცხადებენ, რომ სასურველია, თუკი პორტალზე განთავსებული ვიზუალური მასალა სოციალურ ქსელებშიც გავრცელდებოდა. მონაწილეთა თქმით, ჟურნალისტები სოციალურ მედიას უფრო აქტიურად მოიხმარენ და იქ დადებულ ინფორმაციებს უფრო ადევნებენ თვალს, ვიდრე ვებგვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას. მსგავსი მოსაზრებები გამოითქვა სიღრმისეული ინტერვიუების დროსაც. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალურ ქსელში გენდერული სტატისტიკის გავრცელება ამა თუ იმ გენდერული საკითხის მიმართ ცნობიერებასა და მგრძნობელობას გაზრდის საზოგადოებაში.

”

თქვენ ამ ნაშრომს გაცილებით მეტი ეფექტი ექნება, თუ ესეთი მონაცემები დაიდება მართლა აი, ამ სოციალურ ქსელებში იმიტომ, რომ ბევრი მომხმარებელი ყავს და მეტსაც გეტყვით, შეიძლება, მედია არ დაგჭირდეთ, საზოგადოების აზრის შესაქმნელად. გენდერული პლატფორმის მთავარი მისია და მიზანი ხო მგრძნობელობის გაზრდაა და ამას თქვენით მიაღწევთ ... თქვენ იქნებით არამარტო მედიის წყარო, არამედ ზოგადად ინფორმაციის გამავრცელებელი იმ დონეზე, რომ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში სერიოზულ როლს მიიღებთ.

**მედიის წარმომადგენელი**

”

მე მაგალითად, ვისურვებდი, რომ თუნდაც ცალკე, „ფეისბუქ“ [Facebook] გვერდი იყოს გენდერულ პორტალზე, რომელიც ინფორმაციებს ცალკე - ვიდეოების ან ქარდების სახით გამოაქვეყნებენ, რაც ჩართულობას და ინფორმირებულობას გაზრდის მოსახლეობის. იმიტომ, რომ ვიცით, საიტზეც და პორტალზეც არ გადმოვა მოქალაქე, აქ შემოვა ისეთი მოქალაქე, რომელსაც ფიზიკურად აინტერესებს, შემოვლენ ჟურნალისტები, მკვლევარები და ვისაც აინტერესებს, მოკლედ.

**გადიის წარმომადგენელი**

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ გენდერული სტატისტიკის პორტალზე არსებული სტატისტიკური ინფორმაცია უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად დეტალურია. ეს მოსაზრება, რიგ შემთხვევებში, სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებმაც გამოთქვეს. გენდერის ერთ-ერთმა ექსპერტმა პორტალის განხილვისას აღნიშნა, რომ ზოგიერთი მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მონაცემი საერთოდ არ არის პორტალზე განთავსებული, რაც, მისი აზრით, დანაკლისია.

”

მე-12 SDG-ზე არ არის ინფორმაცია, მე-11 SDG-ზე, მე-10 SDG-ზე მხოლოდ ერთი ამოცანაა, როდესაც მეტ ამოცანას გულისხმობს. მე-8 SDG არის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მაგალითად და აქაც მხოლოდ უმუშევრობაა ასაკის მიხედვით და მეტი არაფერი. მე-7 SDG-ზე არაფერი არ არის, მე-6 SDG-ზე არაფერი არ არის, მეხუთეზე ინფორმაცია არასრულია.

**გენდერის ექსპერტი**

დანაკლისის განცდაზე აქცენტი ყველა ფოკუს ჯგუფის დისკუსიის დროსაც გაკეთდა. რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ მონაცემები უფრო მეტი მახასიათებლის მიხედვით უნდა ჩაიშალოს. ყველაზე ხშირად კი ყურადღება გენდერული მონაცემების რეგიონების მიხედვით ჩაშლაზე გამახვილდა.

”

...მარტო ქალი-კაცის მიხედვით არ არის ზოგადად გენდერის სტატისტიკა, მარტო ქალი-კაცი არ არის, ხო?! არის უფრო ინტერსექციური პრინციპის მეთოდი უნდა შემოვიტანოთ და შეიძლება ჩაიშალოს ვთქვათ, ეთნიკური უმცირესობის ქალი/კაცი, შშმ ქალი/კაცი, ესეთი მონაცემი სადაც არის ხელმისაწვდომი, ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ მოგვეცეს აი, ამ დისერეგაციის დამატების საშუალებაც, რომ უფრო სიღრმისეულად ვიკვლიოთ და ვნახოთ დავუშვათ, აი, ამ ჯგუფებს შორის რა განსხვავებებია.

#### კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებმა ხაზი მონაცემების არასრულყოფილებას გაუსვეს, იქვე აღნიშნავენ, რომ მათთვის გასაგებია სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დეტალურად ჩაშლილი მონაცემების წარმოდგენის სირთულე.

მონაცემების დანაკლისზე საუბრისას, ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი უწყებებს გენდერული სტატისტიკის წარმოებას დაავალდებულებენ. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვნად გაამდიდრებს პორტალზე გენდერულ მონაცემებს და მონაცემთა დანაკლისის განცდასაც შეამსუბუქებს.

”

...სტატისტიკის სამუშაოთა პროგრამაში, მერვე მუხლში, ჩამონათვალს რაღაცა სექციებში უნდა ჩაემატოს, რომ გენდერული სტატისტიკის წარმოება გახდეს სავალდებულო. შესაბამისად, მერე უკვე უწყებებიც დაიწყებენ ამის წარმოებას და მერე უკვე თქვენი გენდერული პორტალიც კიდევ უფრო შეივსება ამ უწყებების მიერ წარმოებული ინფორმაციით და რაღაცა ეს გენდერული სტატისტიკის წარმოება უფრო ინტეგრალური ნაწილი გახდება ზოგადად, ესე ვთქვათ, საჯარო სამსახურში და ეს იყო ჩვენი, ასე ვთქვათ, თხოვნა და სურვილი და ამაზე უკვე შეთანხმებულები ვართ და ძალიან კარგია.

#### გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენელი

გარდა ამისა, თვისებრივი გამოკვლევის მონაწილეებმა ის თემებიც დაასახელეს, რომელთა შესახებ პორტალზე მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის და ამ მონაცემების ვებგვერდზე დამატება ისურვეს. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-ის გავლენების შესახებ გამოკვლევები საქსტატის მთავარ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია, სადაც მონაცემები ჩაშლილია სქესის,

ასაკისა თუ დასახლების ტიპის მიხედვით, თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფში გაჟღერდა მოსაზრება კოვიდ-19-თან დაკავშირებული გენდერული სტატისტიკის პორტალზე განთავსების შესახებ. რესპონდენტების აზრით, კოვიდ-19-თან დაკავშირებული მონაცემები მნიშვნელოვანია და თვლიან, რომ პორტალზე ეს მონაცემები როგორც გენდერულ, ისე რეგიონულ და ასაკობრივ ჭრილში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

”

როგორც ვხვდები, არ არის კოვიდის სტატისტიკა გენდერულ ჭრილში და კოვიდის სტატისტიკა იქნებოდა ძალიან საინტერესო, მეც მაინტერესებს და თან გენდერის კუთხითაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ეს სტატისტიკა არსებობდეს...

#### საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი

საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფებში ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირთა და შშმ პირთა სტატისტიკაზე გამახვილდა. რესპონდენტების თქმით, მათ დასჭირვებიათ მონაცემები თითოეულ რეგიონში დევნილი ქალებისა და კაცების რაოდენობის შესახებ, მაგრამ ეს მონაცემები ვებგვერდზე ვერ მოიძიეს და პორტალზე ამ მონაცემების გენდერისა და რეგიონის ჭრილში ხელმისაწვდომობას/განთავსებას საჭიროდ მიიჩნევენ; ასევე, კვლევითი ორგანიზაციის/აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ჯგუფში არჩევნებზე აქტივობის გენდერულ მონაცემებზე წვდომის სურვილიც გამოითქვა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აქცენტი ამ მონაცემის რეგიონულ ჭრილში ჩაშლაზეც გააკეთა, ხოლო სხვა რესპონდენტმა ყურადღება ოჯახში არაანაზღაურებადი შრომის გადანაწილების სტატისტიკის წარმოების საჭიროებაზე გაამახვილა.

აღნიშნული საკითხების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში პორტალზე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მონაცემების სიმწირე გამოიკვეთა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ პორტალზე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მხოლოდ ორი ძირითადი გრაფაა - „მეურნეობის ხელმძღვანელები“ და „მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება“. მისი თქმით, ეს მონაცემები საკმარისი არ არის და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა ისეთი სახის მონაცემის დამატებაა შესაძლებელი, როგორცაა, მაგალითად, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ ქალთა და კაცთა რაოდენობები, რაც, თავის მხრივ, საქართველოს რეგიონების მიხედვით იქნება ჩაშლილი. სოფლის მეურნეობაში ჩართულ ქალებზე უფრო მეტი



მონაცემის არსებობის სურვილი გამოითქვა ერთ-ერთი ინტერვიუს დროსაც. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობა დღეისათვის მეტად აქტუალური თემაა და ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი პროგრამა ხორციელდება. შესაბამისად, მისი განცხადებით, დიდი მოთხოვნაა ამ მონაცემების ხელმისაწვდომობაზე.

”

გენდერულ ჭრილში არ ჩანს რამდენი ქალია დასაქმებული, ვთქვათ, მეფუტკრეობაში, რამდენი ქალი მისდევს მეზღვაობას და ა.შ. ორი მონაცემი დევს რეალურად სოფლის მეურნეობაში გენდერულ ჭრილში. ამას აკლია ფაქტობრივად ძალიან დიდი რაოდენობა მონაცემების. ამ გენდერიდან რომ დავბრუნდები ისევ საწყისს საიტზე, იქ ვცდილობ, ხოლმე რომ სოფლის მეურნეობის ნაწილზე, ვთქვათ, ცალკე პუბლიკაციებში, ცალკე რომ არის ჩამონათვალი მიმართულებების მიხედვით სოფლის მეურნეობაში, როგორც ვახსენე, სასოფლო-სამეურნეო აღწერა, იქედან ამოვიღო ხოლმე თუ რამე მონაცემია გენდერულ ჭრილში. ერთადერთი პრობლემა რაც გვაქვს, ვთქვათ მუნიციპალიტეტების დონეზე თუ არის ჩაშლილი რაიმე მონაცემები არ არის ეს გენდერულ ჭრილში. ანუ თვითონ ინფორმაციის რაოდენობა დასამატებელია, როგორც გენდერის სტატისტიკაზე სოფლის მეურნეობის კუთხით, ასევე თვითონ საიტზე სოფლის მეურნეობის განყოფილებაში.

#### ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფშივე გამახვილდა ყურადღება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სტატისტიკაზეც. ზოგადად, ამ საკითხთან მიმართებით უფრო მეტი და ჩაშლილი მონაცემების ხელმისაწვდომობის სურვილი თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფში გამოითქვა. სამინისტროების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში აქცენტი ოჯახში ძალადობის სტატისტიკის რეგიონების მიხედვით ჩაშლაზე გაკეთდა, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში. გარდა ამისა, მედიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკაზე ხელმისაწვდომობის სურვილი გამოითქვა.

დისკუსიების დროს რესპონდენტების ნაწილმა სამუშაო ადგილებზე პოზიციების განაწილების სტატისტიკის არარსებობაზეც ისაუბრა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამინისტროების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სახელმწიფო უწყებებსა და კერძო ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული ქალებისა და კაცების სტატისტიკა არ მოიპოვება, რაც

ხშირად აფერხებს მათ სამუშაო პროცესს; ასევე, სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ხელმისაწვდომი არ არის დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე ქალების სტატისტიკაც კერძო და საჯარო სექტორის მიხედვით.

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს რესპონდენტმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუკი პორტალზე, ბმულების გრაფაში დაემატება პარლამენტის ვებგვერდზე არსებული გენდერის გვერდიც. პორტალის ბმულებში თავად პარლამენტის ვებგვერდი კი არის განთავსებული, მაგრამ რესპონდენტი უშუალოდ გენდერის გვერდის დამატებას მიიჩნევს სასარგებლოდ.

”

იცით რა, იდეასავით მაქვს, რომ გენდერულ პორტალს, რომ დავუბრუნდე ისევ თქვენ აქ ბმულებიც გაქვთ ძალიან კარგი მოცემული და შეიძლება მაგალითად დაემატოს თუნდაც, პარლამენტის გვერდი კი არის მოცემული, მაგრამ კონკრეტულად პარლამენტიდან ჩვენი გენდერის გვერდი შეიძლება დაემატოს, იმიტომ რომ ძან ბევრი ინფორმაცია გვიდევს ხოლმე და ანგარიშებიც გვიდევს, კი ანუ პარლამენტის გვერდიდან უშუალოდ ჩვენი გენდერის გვერდი.

**გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენელი**

ასევე, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ პორტალზე განთავსდეს რეგიონული გენდერული სტატისტიკაც. რესპონდენტმა განაცხადა, რომ მას ხშირად უწევს სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაცემების შედარება საქართველოს მონაცემებთან და ამ კუთხით რეგიონული მონაცემების ხელმისაწვდომობა სასარგებლო იქნებოდა მისთვის და მის მსგავსად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ სფეროებში მომუშავე პროფესიონალებისთვის.

მონაცემების აღქმასთან დაკავშირებული საკითხის გარდა, მონაწილეებმა მონაცემთა განახლების საჭიროებაც გამოკვეთეს. თითქმის ყველა ჯგუფური დისკუსიისა და ზოგიერთი ინტერვიუს დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სასურველია, პორტალზე მონაცემები უფრო ხშირად ახლდებოდეს.

## 2.2. მომხმარებელთა კმაყოფილება პუბლიკაციით „ქალი და კაცი საქართველოში“



თვისებრივი გამოკვლევის რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ იყენებს პუბლიკაციას „ქალი და კაცი საქართველოში“ და, საერთო ჯამში, დადებითად აფასებს მას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიკაციის შეფასებისას რესპონდენტების მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და რომ ისინი თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე აფასებენ ამა თუ იმ პროდუქტს. პუბლიკაციებში წარმოდგენილი ინფორმაცია რიგ შემთხვევებში ზედმეტად დეტალურად მიიჩნევა, ზოგჯერ კი - პირიქით, ნაკლებად ინფორმაციულად. კვლევითი ორგანიზაციებისგან შემდგარ ჯგუფში ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პუბლიკაციები ეხმარება თავის პროფესიულ საქმიანობაში. იგივე მოსაზრება გამოითქვა ჟურნალისტთა ჯგუფშიც; ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი აღნიშნა, რომ პუბლიკაციებმა მის მოლოდინს გადააჭარბა, რადგან ისინი უზრუნველყოფს გენდერული მონაცემების გაერთიანებული სახით ხელმისაწვდომობას სხვადასხვა თემის გარშემო.



”

გენდერულ სტატისტიკას კიდევ მოყვება ბაზის გარდა პუბლიკაციები, რაღაც შეჯამებული ინფორმაცია, რომელიც ხელსაყრელია და ძალიან ხშირად მადგება, როცა უცებ მჭირდება, დროის პერსპექტივაში გაანალიზებული გენდერის სტატისტიკა განათლებასთან მიმართებით, თან სხვადასხვა თემებთან მიმართებით, ძალიან მოსახერხებელია.

**კვლევითი კომაანის წარმომადგენელი**

მედიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში საპირისპირო მოსაზრებაც გაჟღერდა და ითქვა, რომ ერთად თავმოყრილი ამდენი ინფორმაცია რთულად აღსაქმელია, რაც შეიძლება, პუბლიკაციის გამოყენებისგან თავის შეკავების მიზეზი გახდეს. ხოლო, სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფებში რესპონდენტებმა პუბლიკაციაში არსებული მონაცემები ნაკლებად ინფორმაციულად მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ მათ ანალიტიკა და ინტერპრეტაცია აკლია. დისკუსიებისას ყურადღება გამახვილდა მონაცემების სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით ჩაშლის საჭიროებაზეც. გენდერული სტატისტიკის პორტალზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, უფრო მეტი აქცენტი მონაცემების რეგიონების მიხედვით ჩაშლაზე გაკეთდა.

”

აქ ერთმა მონაწილემ ახსენა და მეც დავეთანხმები, რომ კარგი იქნებოდა, რომ ჩაშლილი იყოს რეგიონების მიხედვით კონკრეტული ინფორმაცია. არათუ განზოგადებული მთელი საქართველოს მიხედვით, არამედ ჩაშლილი სხვადასხვა ქალაქების მიხედვით.

**მედიის წარმომადგენელი**

”

...ნებისმიერი პუბლიკაცია რომ ავიღოთ, არის ცალსახად მხოლოდ ცხრილები გამოტანილი... არის ძალიან მშრალად ინფორმაციები მოწოდებული, რიცხვები პირდაპირ გადმოტანილი, უბრალოდ რეკომენდაცია იქნება ჩემი, რომ ცოტა დაემატოს ანალიტიკა.

**სამინისტროს წარმომადგენელი**



პუბლიკაციაზე საუბრისას, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა რესპონდენტმა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მონაცემები გამოკვეთა და აღნიშნა, რომ პუბლიკაციაში სოფლის მეურნეობის შესახებ მონაცემები ცალკე არ არის გამოყოფილი, რაც, მისი აზრით, პუბლიკაციის ნაკლია.

პუბლიკაციებში მონაცემების დანაკლისზე ისაუბრა გენდერის ექსპერტმაც. როგორც მან აღნიშნა, პუბლიკაციას ბევრ საკითხთან დაკავშირებული მონაცემი აკლია, თუმცა, რესპონდენტი ამ საკითხებს კონკრეტულად არ ასახელებს. მას მიაჩნია, რომ პუბლიკაციის თემებით გამდიდრების მიზნით, მკვლევართა ჯგუფმა უნდა იმუშაოს და ის საკითხები გამოავლინოს, რასაც პუბლიკაცია უნდა მოიცავდეს. გარდა ამისა, რესპონდენტი ყურადღებას პუბლიკაციის ფორმატზეც ამახვილებს და თვლის, რომ პდფ ფორმატი მოძველებულია და ის უფრო თანამედროვე სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. აქცენტი გაკეთდა პუბლიკაციებში გრაფიკების ინტერაქციული სახით არსებობის საჭიროებაზეც. პუბლიკაციაში არსებულ გრაფიკებზე ისაუბრა ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელმაც, რომლის განცხადებით, ამჟამინდელი გრაფიკები ვიზუალურად კარგად არ გამოიყურება და სასურველია მათი უფრო დახვეწა. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი თავად პუბლიკაციის სახელწოდებას აკრიტიკებს და თვლის, რომ აქ გენდერული მიმართულებით მეტი მგრძნობელობაა საჭირო.



არ მომწონს ეს პუბლიკაციები, როგორი სახითაც არის წარმოდგენილი ... პდფ-ს ფორმატი ძაან ოცდამეერთე საუკუნეა და კარგი გრაფიკებით და ინტერაქციული ვიზუალით შეიძლებოდა ეს ინფორმაცია უფრო საინტერესო ყოფილიყო ... საქსტატს ჭირდება გენდერის ექსპერტები, რამდენიმე სხვადასხვა სპეციალიზაციით ... უნდა დასხდნენ გაანალიზონ, რა აკლია ამ პუბლიკაციას, რითი შეიძლება გამდიდრება... კარგია, ეს პუბლიკაცია, რო გამოდის, ნამდვილად, ძაან დიდი მიღწევაა, თუმცა ბევრი ინფორმაცია ან არასრულყოფილია, ან ისე არი გადმოცემული, რომ კარგად არ იკითხება, ან რაღაცა დეტალები აკლია, რაც გამოყენებისთვის უშედეგოს ხდის.

**გენდერის ექსპერტი**



”

არ მომწონს რომ „ქალი და კაცი“ ჰქვია პუბლიკაციას. მესმის, რომ გენდერულ ჭრილში ესე ხედავენ - ქალი და კაცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ როდესაც გენდერული სტატისტიკა არის ცოტა მეტი მგრძნობელობაა საჭირო და შეიძლება, სხვა რამ დაერქვას პუბლიკაციას. ეხლა ვიცი, რომ ვერ გადაერქმევა, მაგრამ, ჩემი აზრით, პუბლიკაციის სახელიც ამბობს, მერე რა პრობლემა აქვს პუბლიკაციას.

**საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი**



## 2.3. მომხმარებელთა კმაყოფილება ინფოგრაფიკებითა და გენდერული სტატისტიკის სხვა პროდუქტებით



თვისებრივი გამოკვლევის ფარგლებში მონაწილეებმა გენდერული სტატისტიკის პორტალზე არსებული ინფოგრაფიკების შეაფასეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ინფოგრაფიკებს დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ინფოგრაფიკები ვიზუალურად კარგად გამოიყურება, მასზე დატანილი ინფორმაცია კი მარტივად აღსაქმელია. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნულ ინფოგრაფიკებს პროფესიულ საქმიანობაში იყენებს, მაგალითად, პრევენტაციებსა და ანგარიშებში. კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფში პორტალზე უფრო მეტი ინფოგრაფიკის განთავსების სურვილიც გამოითქვა. რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებს, აცხადებენ, რომ თავიანთ საქმიანობაში ინფოგრაფიკებს ნაკლებად იყენებენ.

”

მე ერთადერთი რასაც შევცვლიდი უკეთესობისკენ არის ის, რომ ინფოგრაფიკები არის ძალიან ცოტა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემი აქვთ ბევრი, შეიძლება უფრო ბევრი ინფოგრაფიკის დადება...

**კვლევითი კომპანიის წარმომადგენელი**

მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი გამოკვლევის მონაწილეების ძირითადი ნაწილი დადებითად აფასებს ინფოგრაფიკებს, ზოგიერთს მიაჩნია, რომ მათზე ბევრი ინფორმაციაა დატანილი და ამიტომ მარტივი აღსაქმელი არაა. ერთ-ერთი რესპონდენტი კი შენიშნავს, რომ პორტალზე ინფოგრაფიკების ცალკე თავმოყრა ნაკლებად სასარგებლოა; უმჯობესია მათი თემატური გადანაწილება შესაბამის მონაცემებთან და, ამავდროულად, თვალსაჩინო ადგილას განთავსება.

”

კარგია, მაგრამ დარწმუნებული ვარ ეხლა ამას ბევრი არ ჩაუჯდება... ეს ინფოგრაფიკა ცოტა ისეთები რო გაკეთდეს, რომელსაც ალბათ, რავი, ერთ 10-15 წამში აღიქვავ, ანუ რაღაც უფრო მცირე დროში აღქმადი.

**ობიექტის აპარატის წარმომადგენელი**

”

მე ვფიქრობ, რომ ინფოგრაფიკები უფრო მარტივად უნდა აღიქმებოდეს. არ ვიცი, ერთია, ჩვენ უსურნალისტები როგორ ვკითხულობთ ამ ყველაფერს და მეორეა, ჩვენი მომხმარებლები, ხო?... გამარტივებულად უფრო შეიძლება ამ ყველაფრის გადმოცემა.

**მედიის წარმომადგენელი**

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ჯგუფში და, ასევე, სიღრმისეული ინტერვიუს რამდენიმე რესპონდენტმა ყურადღება აღნიშნული ინფოგრაფიკების სოციალურ ქსელებში განთავსების, პოპულარიზაციისა და გავრცელების მნიშვნელობაზე გაამახვილა. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ინფოგრაფიკების უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა სოციალური ქსელების მეშვეობით უნდა მოხდეს. ფიქრობენ, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო იქნება გამოკვლევის შედეგების ინფოგრაფიკის მეშვეობით მინოდება და რომ ამ მხრივ საქსტატი მეტად უნდა გააქტიურდეს.



”

„ინტერაქციულობის კომპონენტის დამატების და გავრცელების საკითხს დავეთანხმებოდი. მარტო საიტზე არ უნდა დარჩეს ეს, იმიტომ რომ ინფოგრაფიკა იმიტომ არის, რომ უფრო დიდ აუდიტორიას მარტივად გააგებინო კვლევის შედეგები და სხვაგან არ შემხვედრია ნამდვილად, არც ერთ სოციალურ ქსელში ამ კონკრეტული საიტიდან გადაზიარებული ინფოგრაფიკა. ვისურვებდი, რომ ვრცელდებოდა უფრო მარტივად“

**კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი**

რაც შეეხება საქსტატის ვებგვერდზე ხელმისაწვდომ გენდერული სტატისტიკის სხვა მონაცემებს, თვისებრივ გამოკვლევაში მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ამბობს, რომ საქსტატის სხვა პორტალებზე არსებულ გენდერულ მონაცემებს ეცნობიან. მათი აზრით, მთავარ ვებგვერდზე ძებნის ფუნქციაც ნაკლებად მოქნილია. ჭანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი კი ექიმებთან დაკავშირებულ სტატისტიკაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ, ზოგადად, ექიმთა რიცხოვნობის ჩაშლა რეგიონებისა და, ასევე, პროფესიების მიხედვით საჭირო მონაცემია.

”

მთავარ გვერდზე ძან ხშირად მონაცემი ყოფილა, მიძებნია ძან დიდ ხანს... შეიძლება, ეგ ჩემი პრობლემაც იყოს, მაგრამ ანუ, „ქი ვორდებით“ [მთავარი სიტყვებით] რაღაცას რომ ეძებ, არათემატურ რაღაცებს გიგდებს ხოლმე, რა. ეგეთი გამოცდილება მაქვს მე.

**კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი**

რამდენიმე მონაწილე მონაცემთა განახლების საკითხსაც შეეხო. მათი ნაწილი თვლის, რომ ზოგიერთი სახის მონაცემი უფრო სწრაფად განახლებადი უნდა იყოს. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, საქსტატის მთავარ ვებგვერდზე ზოგიერთი მონაცემი, მაგალითად, გარდაცვალების შესახებ სტატისტიკური მონაცემები უფრო მალ-მალე უნდა ახლდებოდა.




ხშირი ინტერვალებით რომ ხდებოდეს განახლება, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგალითად, გარდაცვალების სტატისტიკა ... ყოველთვიური რომ იყოს, ან სიტყვაზე, ორი თვის დაგვიანებით იყოს, უფრო კარგი იქნებოდა.

**საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი**

ასევე, დისკუსიებსა და ინტერვიუებში მონაწილე რამდენიმე რესპონდენტის შეფასებით, საქსტატის მთავარ ვებგვერდზე ნავიგაცია რთულია. გენდერის ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, რომ არა საქსტატის მიერ შემოთავაზებული ტრენინგ კურსი, სადაც ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიების გზები გააცნეს, ვებგვერდის გამოყენება დღემდე გაუჭირდებოდა. სხვა რესპონდენტის განმარტებით კი, იმის გამო, რომ საქსტატის ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიება რთულია, იგი ალტერნატიულ წყაროებს მიმართავს და მისთვის საჭირო მონაცემების სამინისტროებიდან გამოთხოვას ან სხვა ვებგვერდზე მოძიებას ამჯობინებს.

ნანილი 3.

## შეჯამება და რეკომენდაციები





რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ გენდერული სტატისტიკა კვლევითი (60 პროცენტი) და ზოგადი ინფორმაციის მიღების (59 პროცენტი) მიზნით გამოიყენეს, ხოლო მომხმარებელთა 40 პროცენტმა გენდერული სტატისტიკის მონაცემებით ბაზრის ანალიზისთვის ისარგებლა. სხვა შემთხვევებში გენდერულ სტატისტიკას პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა ან/და მონიტორინგისთვის (26%), საგანმანათლებლო პროექტებისთვის (25%), მედიაში (15%) და ადვოკატირების (15%) მიზნით იყენებენ. მომხმარებელთა უმრავლესობა კვარტალში ან წელიწადში რამდენჯერმე მოიძიებს გენდერულ სტატისტიკას და გამოყენების ეს სიხშირე არ იცვლება გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა სფეროსთვის.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა (80%) კმაყოფილია საქსტატის მიერ წარმოებული გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით, როგორცაა: გენდერული სტატისტიკის პორტალი, სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“ და ინფოგრაფიკები. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლები, საერთო ჯამში, კმაყოფილები არიან გენდერული სტატისტიკის თითქმის ყველა სფეროთი, ისინი ყველაზე ნაკლებ კმაყოფილებას გამოთქვამენ სამართალდარღვევების, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული გენდერული სტატისტიკით.

როგორც რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგებიდან ირკვევა, გენდერული სტატისტიკის მომხმარებლები ძალიან კმაყოფილები არიან ყოველწლიური სტატისტიკური პუბლიკაციით „ქალი და კაცი საქართველოში“. პუბლიკაცია მისი დროულობით (მოვლენის მოხდენასა და მასზე მონაცემების ხელმისაწვდომობას შორის არსებული დროის ხანგრძლივობა), სიცხადითა და შემოთავაზებული თემების მრავალფეროვნებით ფასდება.

გამოკვლევის რესპონდენტებმა მაღალი კმაყოფილება დააფიქსირეს, ასევე, გენდერული სტატისტიკის პორტალით. პორტალის ღირებული მახასიათებლებია დროულობა და ინდიკატორების დეტალიზაციის დონე.

თვისებრივმა გამოკვლევამ აღნიშნული შედეგები შეავსო და ის დეტალები გამოავლინა, რომელთა გაუმჯობესება კიდევაც შესაძლებელია საქსტატის მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მიესალმებიან გენდერული მონაცემების ცალკე პორტალზე თავმოყრას, რაც მათთვის გენდერული მონაცემების ხელმისაწვდომობას ამარტივებს, მათ მოსაზრება გამოთქვეს, ასევე, თუ რა შეიძლება, გაუმჯობესდეს მომავალში. მთლიანობაში, თვისებრივი გამოკვლევის რესპონდენტები გენდერული სტატისტიკის პორტალის



ვიზუალურ მხარესაც და მის სტრუქტურასაც დადებითად აფასებენ. მათი აზრით, ცალკეული თემების მიხედვით დახარისხებული ინფორმაცია, საერთო ჯამში, მარტივად აღსაქმელს ხდის პორტალსაც და მასზე წარმოდგენილ ინფორმაციასაც; ასევე, მონაწილეთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენდერული სტატისტიკის პორტალზე ნავიგაცია მარტივია. გრაფიკები, რომელთა ჩამოტვირთვა შესაძლებელია პორტალიდან, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ჟურნალისტებისთვის, რადგან ისინი ადვილად ახერხებენ გადმოწერილი გრაფიკების ჩასმას თავიანთ ანგარიშებში/სტატიებში.

პორტალის გასაუმჯობესებლად წარმოდგენილი იყო რამდენიმე კონკრეტული შეთავაზება. კერძოდ, მონაცემთა მომხმარებლებმა რეკომენდაცია გაუწიეს: პორტალიდან ჩამოტვირთულ თითოეულ ცხრილსა და დიაგრამას მიეთითოს შესაბამისი მონაცემთა წყარო (მოკლე აღწერილობით); განმარტებები დაემატოს იმ ტერმინებს, რომლებიც, შეიძლება, ადვილად გასაგები არ იყოს საშუალო მომხმარებლისთვის; გენდერული მონაცემების პორტალს დაემატოს მეტი SDG ინდიკატორი და სადაც შესაძლებელია, გაუმჯობესდეს მონაცემთა დისაგრეგაციის დონე მეტი მახასიათებლის დამატებით (მაგ. რეგიონი, დასახლების ტიპი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი და ა.შ.); თვისებრივი გამოკვლევის შედეგების შესაბამისად, ქალების მიმართ სამართალდარღვევებისა და ძალადობის შესახებ პორტალს დაემატოს მეტი ინდიკატორი; ბოლოს, პორტალის ნაკლებ ცნობადობის გამო რეკომენდაცია გაეწია გენდერული სტატისტიკის პორტალის პოპულარიზაციას, განსაკუთრებით სოციალური მედიის მეშვეობით.

რაც შეეხება სტატისტიკურ პუბლიკაციას „ქალი და კაცი საქართველოში“, რესპონდენტთა გამოხმაურებები მასზე იყო არაერთგვაროვანი და ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებების ფართო სპექტრს მოიცავდა. გასათვალისწინებელია, რომ როგორც სხვა პროდუქტების შეფასებისას, რესპონდენტებმა ეს პუბლიკაციაც თავიანთი სამუშაოს პერსპექტივიდან შეაფასეს. რიგ შემთხვევებში, პუბლიკაციებში წარმოდგენილი ინფორმაცია მათ ზედმეტად დეტალურად მიიჩნევს, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით - არასაკმარისად. საერთო ჯამში კი, რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნულ პუბლიკაციას იყენებენ, ძირითადად დადებითად აფასებენ მას და თვლიან, რომ პუბლიკაციაში მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა წარმოდგენილი. თუმცა, ამასთან ერთად, მათ რეკომენდაცია გაუწიეს პუბლიკაციაში მეტი ინტერპრეტაციის, მონაცემების სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით ჩაშლასა და მისი ვიზუალური მხარის, განსაკუთრებით კი გრაფიკების დახვეწას.



ყველაზე დადებითი შეფასება გენდერული სტატისტიკის პორტალზე განთავსებულმა ინფოგრაფიკებმა მიიღო. რესპონდენტების განცხადებით, ინფოგრაფიკები ვიზუალურად კარგად გამოიყურება, ხოლო მათზე დატანილი ინფორმაცია მარტივად აღსაქმელია. თუმცა, გამოკვლევის ზოგიერთ მონაწილეს მიაჩნია, რომ ინფოგრაფიკებზე ბევრი ინფორმაციაა დატანილი და ეს ართულებს ინფორმაციის აღქმას. აქედან გამომდინარე, მათ რეკომენდაცია გაუწიეს: **ინფოგრაფიკების დაყოფას უფრო მარტივ გრაფიკებად, ნაკლები მონაცემებით (ე.წ. ფაქტოგრაფები); ინფოგრაფიკების თემატურ გადანაწილებას შესაბამის მონაცემებთან და თვალსაჩინო ადგილას განთავსებას; და მათ აქტიურ გავრცელებას სოციალური ქსელების მეშვეობით, ფართო აუდიტორიის მისაღწევად.**



## დანართი 1

### მომხმარებელთა კმაყოფილების რაოდენობრივი გამოკვლევის კითხვარი

ბატონო/ ქალბატონო,

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუშაობის ხარისხის და მომხმარებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა გამოკითხვა. ჩვენი მომხმარებლების საჭიროებების წარმოადგენს საქსტატის ვალდებულების მნიშვნელოვან ნაწილს, რათა მუდმივად შევძლოთ გაუმჯობესებისკენ სწრაფვა.

იმისათვის, რომ შევისწავლოთ მომხმარებელთა განწყობა საქსტატის მიმართ, ინფორმაციის წარმოების, გავრცელების და სხვა საკითხებზე, გავარკვიოთ რამდენად ვაკმაყოფილებთ თქვენს მოთხოვნებსა და მოლოდინებს, მნიშვნელოვანია მონაწილეობა მიიღოთ ამ გამოკვლევაში. თქვენი პასუხები და კომენტარები ანონიმურია. გამოკითხვის დასრულების შემდეგ, გთხოვთ დააჭიროთ ღილაკს „გაგზავნა“.

\*თქვენი ინდივიდუალური და პერსონალური მონაცემები დაცულია საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ (მუხლი 28) და საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კითხვარში არსებული შეკითხვები ეხება ბოლო 12 თვეს.

### მოდული A: ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია (სურვილისამებრ) \_\_\_\_\_

ელ. ფოსტა (სურვილისამებრ) \_\_\_\_\_

#### 1. სქესი

1. ქალი
2. კაცი

#### 2. ასაკი

- |          |               |
|----------|---------------|
| 1. 15-24 | 4. 45-64      |
| 2. 25-34 | 5. 65 და მეტი |
| 3. 35-44 |               |



**3. ძირითადი საქმიანობის სფერო:**

1. ბიზნეს სექტორი
2. სახელმწიფო სექტორი
3. ადგილობრივი მმართველობა/თვითმმართველობა
4. სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულება
5. კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაცია
6. მედია
7. საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაცია
8. არასამთავრობო სექტორი
9. ფიზიკური პირი

**4. როგორ შეაფასებდით სტატისტიკაში თქვენს ცოდნას?**

1. დაბალი
2. საშუალო
3. მაღალი

**5. გისარგებლიათ თუ არა საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემებით და ინფორმაციით?**

1. დიახ → გადადით კითხვაზე 6
2. არა → გადადით კითხვაზე 5.1

**5.1. გთხოვთ, მონიშნოთ მიზეზი.**

1. არ მქონია სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის გამოყენების საჭიროება → დასასრული
2. ვიყენებ მონაცემებისა და ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროს, რომელიც უფრო მეტად აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს → დასასრული
3. საქსტატის ვებ-გვერდზე მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიება რთულია → დასასრული
4. ამ დრომდე არ მქონდა ინფორმაცია საქსტატის ვებ-გვერდის შესახებ → დასასრული
5. სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) \_\_\_\_\_ → დასასრული





**6. რა სიხშირით იყენებთ საქსტატის ინფორმაციას?**

1. ყოველდღიურად
  2. კვირაში რამდენჯერმე
